„ვამტკიცებ"

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის

„14" „05" 2013 წ.

დებულება

საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის ვაჟებში

თბილისი

2013

1 – 2 ივნისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი.

III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ვაჟი ძიუდოისტები, ძიუდოს რეგიონალური ფედერაციებისათვის გამოყოფილი კვოტების შესაბამისად, წარმოდგენილი წინასწარი განაცხადების მიხედვით (კვოტები თან ერთვის – დანართი 1).

IV. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა აკრედიტაცია და განაცხადების მიღება იწარმოებს 2013 წლის 31 მაისის 14.00-საათამდე. კენჭისყრა დაიწყება 31 მაისის 15.00 საათზე საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ოფისში (ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ. 5). აკრედიტაციის გავლა ასევე შეიძლება საორგანიზაციო კომიტეტში, ფოსტით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით.

შენიშვნა: აკრედიტაციის გავლის გარეშე სპორტსმენები კენჭისყრაზე და შესაბამისად შეჯიბრზე არ დაიშვებიან !!!

- შეჯიბრი ჩატარდება 2013 წლის 31 მაისი - 2 ივნისი ქ. თბილისში ბელიაშვილის №5-ში, ძიუდოს აკადემიაში.
- ჩამოსვლის დღე თბილისი – 31 მაისი, წასვლის დღე – 2 ივნისი.
- შეჯიბრების დასაწყისი 11.00 საათზე

V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 8 წონით კატეგორიაში: 55 კგ; 60კგ; 66 კგ; 73 კგ; 81კგ; 90 კგ; 100 კგ; +100 კგ;

<u>აწონვა: თბილისში</u>

<u>31 მაისი</u> თბილისში, ბელიაშვილის №5-ში,
55 კგ; 60კგ; 66 კგ; 73 კგ;
არაოფიციალური 16.00 - 17.00 საათამდე;
ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

<u>1 ივნისი</u> თბილისში, ბელიაშვილის №5-ში,
81კგ; 90 კგ; 100 კგ; +100 კგ;
არაოფიციალური 16.00 - 17.00 საათამდე;
ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

- შეჯიბრზე მონაწილეები დაიშვებიან მხოლოდ პირადობის მოწმობის (ორიგინალი) წარმოდგენის შემდეგ.

VI. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, დამისთევა, კვება) გაიღებს მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, დაცვის სამსახური, მედპერსონალის ხელფასი და გამარჯვებულთა დაჯილდოვება) უზრუნველყოფს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და საორგანიზაციო კომიტეტი.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 2 52 82 05;

მობ. +995 595 21 25 23 – გიორგი ათაბეგაშვილი

ელექტრონული მისამართი: **geojudo@yahoo.com**

საკონტაქტო პირი – გიორგი გუგავა 599 55 05 51

დანართი 1

რეგიონებისათვის თითოეულ წონით კატეგორიაში გამოყოფილი კვოტები ვაჟთა შორის

№	რეგიონი	კვოტა თითოეულ წონით კატეგორიაში	კვოტა სულ 8 წონით კატეგორიაში
1.	თბილისი	4	32
2.	კახეთი	4	32
3.	იმერეთი	4	32
4.	შიდა ქართლი	4	32
5.	ქვემო ქართლი	4	32
6.	სამეგრელო - ზ/ს	2	16
7.	აჭარა	2	16
8.	მცხეთა - მთიანეთი	2	16
9.	რაჭა-ლეჩხუმი - ქ/ს	2	16
10.	აფხაზეთი	1	8
11.	სამცხე ჯავახეთი	1	8
12.	გურია	1	8
13.	ცხინვალის რეგიონი	1	8

სულ: 32 მონაწილე ; სულ: 256 მონაწილე

P.S.

- სპორტსმენთა მიერ მოპოვებული გამარჯვებები აისახება სარეიტინგო სისტემაში (რეიტინგების სისტემა იხილეთ ფედერაციის ვებ-გვერდზე **www.gjf.ge**).
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დისციპლინარული დარღვევის შემთხვევაში, ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს როგორც პიროვნულ, ასევე რეგიონული ნაკრები გუნდის მიერ მიღწეული სრული შედეგის და წევრ სპორტსმენთა მიერ მოპოვებული სარეიტინგო ქულების ანულირებაზე.

გენერალური მდივანი გიორგი ათაბეგაშვილი